იუსტიციის
სამინისტრო

ციფრული
მმართველობის
სააგენტო

2024 წლის
ანგარიში

სარჩევი

1. სახელმწიფო სერვისების მიწოდება - MY.GOV.GE 3
2. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა 5
3. სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერა 6
4. სტრატეგიული დაგეგმვა და საერთაშორისო ურთიერთობები 13
5. სამართლებრივი წარმოება 23
6. ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება 27
7. კონსულტაციები და რეკომენდაციები 30
8. კიბერინციდენტებზე რეაგირება, კიბერსისუსტეებისა და კიბერინციდენტების აღმოჩენა 32
9. სწავლება, ცნობიერების ამაღლება 33
10. ღონისძიებები 37
11. სააგენტოს შიდა ორგანიზაციული განვითარება 43
12. ადამიანური რესურსები 44
13. საფინანსო საკითხები 44
14. საზოგადოებასთან ურთიერთობა 45
15.სააგენტოს აპარატურული და ტექნიკური განვითარება 46
16. ტექნიკური მხარდაჭერა 47

1. სახელმწიფო სერვისების მიწოდება - MY.GOV.GE

ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი (MY.GOV.GE) წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიან ვებ-პორტალს, რომელიც შექმნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ.

- პორტალზე ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა - 6 სერვისი (სულ 400-მდე)
- სერვისების გამოყენების ჯამური მაჩვენებელი -3 222 023 (2024 წელს ჯამში - 13 378 479)
- სტანდარტულად ინტეგრირებული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი - 355 731 (2024 წელს ჯამში - 1 411 233)
- ელ. დოკუმენტის მიწოდების სერვისის გამოყენების მაჩვენებელი - 241 595 (2024 წელს ჯამში - 954 353)
- სხვა დანარჩენი სერვისების გამოყენების მაჩვენებელი - 2 866 292 (2024 წელს ჯამში - 4 166 165)
- პორტალზე რეგისტრირებულია - 1 980 ფიზიკური პირი (2024 წელს ჯამში - 18 593)
- პორტალზე რეგისტრირებულია - 21 322 იურიდიული პირი (2024 წელს ჯამში - 81 746)

დასრულდა მუშაობა და გაშვებულია რეალურ გარემოში შემდეგი სერვისები და ფუნქციონალი:

- "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" სერვისებში ტექნიკური ცვლილებები (შვილების და პიროვნების მონაწილეობა დოკუმენტებში სერვისების ჩანაცვლება და დოკუმენტის დამატება);
- გაფართოებული ძიების ფუნქციონალი;
- გამარტივებული შევსება ქონების, ბიზნესის და განმეორებითი მოწმობების სერვისებში;
- განახლდა პორტალის “წესები და პირობები”;
- განხორციელდა სხვადასხვა მცირე ცვლილებები სხვადასხვა სერვისებში;
- ავტორიზებული მომხმარებლებისთვის შემუშავდა განაცხადის გამარტივებული შევსების ფუნქციონალი ბიზნესის და ქონების სერვისებში;
- განახლდა და დაიხვეწა პორტალზე სერვისების ძიების ფუნქციონალი;

მიმდინარეობს სისტემის ცალკეული კომპონენტების დეველოპმენტი. სატესტო რეჟიმშია ძებნა სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობების რეესტრში და განათლების სამინისტროს ახალი სერვისები. მიმდინარეობს მუშაობა სამეწარმეო რეესტრის ჩათიშული სერვისების აღდგენაზე და საჯარო რეესტრის დოკუმენტბრუნვის სისტემის სერვისების iFrame-ის ჩანაცვლების თაობაზე.

- მიმდინარეობს განათლების სამინისტროს სერვისების დამატებაზე მუშაობა, ასევე ქართუ ბანკისა და თიბისი ბანკის გადახდების სისტემების ინტეგრაცია. მიმდინარეობს ანალიტიკა, პორტალზე ახალი სერვისის დამატების შესახებ, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირები ელექტრონულად შეავსებენ განცხადებას საჯარო რეესტრის და კერძო აღმასრულებლის ავტორიზაციის უფლების მინიჭების თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, გრძელდება ანალიტიკური სამუშაოები მუზეუმის ჯავშნების სამართავ პანელზე და სემეკის ახალი სერვისების ინტეგრაციის მიზნით. უსაფრთხოების მიზნით პორტალზე მიმდინარეობს 2-ფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დამატება, აღნიშნული სატესტო რეჟიმშია.

- **My.gov.ge-ს მობილური აპლიკაციის** - Google Play Store-ზე რელიზისთვის განახლდა და ინგლისურად ითარგმნა privacy policy-ს ტექსტი. ანდროიდ და iOS სისტემისთვის გაშვებულია აპლიკაციის 2.1.1. ვერსია, სადაც ხელმისაწვდომია ციფრული დოკუმენტები, გამარტივებული შევსება ბიზნესის და ქონების სერვისებში, მუშაობა დასრულებულია 2.1.2. ვერსიაზე.

- მიმდინარეობს ტესტირება 2.2.0 ვერსიის რელიზისთვის და მიმდინარეობას მუშაობა ცვლილებებზე 2-ფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვისთვის, სადაც დაემატება დეტალური ძიების ფუნქციონალი, QR-ით მოწმობის გადამოწმების ფუნქციონალი, გაზიარება, სსგს სერვისებში ტექნიკური ცვლილებები და სამოქალაქო აქტების მოწმობების განახლების სერვისში გამარტივებული შევსება. მიმდინარეობს მუშაობა Apple Pay / Google Pay-ს საშუალებით გადახდების დამატებაზე.

მუდმივ რეჟიმში ხორციელდება My.gov.ge-ზე ინტეგრირებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი.

2. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა

G3 გარემო წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ციფრული არხების ჰაბს, რომელიც უზრუნველყოფს ციფრული მონაცემების მიმოცვლას სხვადასხვა უწყებას შორის. ახდენს პროტოკოლების სტანდარტიზაციას და უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედო მიმოცვლას.

საანგარიშო პერიოდში:

- ინფრასტრუქტურაში ჩაერთო 4 ახალი ორგანიზაცია (სულ ჯამში ინფრასტრუქტურაში ჩართულია 289 ორგანიზაცია);
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა - 176 მთავარი სერვისი (530 ქვესერვისი);
- ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობა - 55411874 (სულ ჯამში 2024 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გავლით გაგზავნილი ტრანზაქციების რაოდენობამ შეადგინა - 255036273);
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტების რაოდენობა - 243595 (სულ ჯამში 2024 წელს სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტების რაოდენობამ შეადგინა - 995869).

მიმდინარეობს სისტემის ძირითადი ფუნქციონალის ტესტირება, ხარვეზების გამოსწორება და ფუნქციონალის და UI/UX -ის გაუმჯობესება.

3. სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ სისტემებთან ერთად მუშაობა მიმდინარეობდა სხვა მნიშვნელოვან პროექტებზეც:

- **ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის სისტემა (OIS)** - დასრულდა მუშაობა იუსტიციის ჯავშნების სისტემასთან შემუშავებული სერვისის სამუშაო გარემოზე გასაშვებად; ჩატარდა ცენტრალური სამართავი პანელის ტრენინგები; შემუშავების პროცესშია მომხმარებლის სახელმძღვანელო; რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის მოდულის ამოცანების გაწერა დასრულებულია და მიმდინარეობს მოდულის არქიტექტურის შემუშავება; დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების მოდულის ცვლილებები და დამკვეთის მხრიდან ტესტირება; დაიგეგმა და ჩატარდა საზოგადოებრივი მისაღების მოდულის ტრენინგები (17-25 ოქტომბერი, სამი ჯგუფი); ცენტრალური სამართავი პანელი გაშვებულია რეალურ გარემოში; მიმდინარეობს რესოციალიაზაცია რეაბილიტაციის მოდულის დეველოპმენტი; დაწყებულია სამედიცინო მოდულისა და რეფერალების ნაწილის დეველოპმენტი; სპეციალური აღრიცხვის, რეჟიმის და უსაფრთხოების მოდული გაშვებულია სამუშაო რეჟიმში; მიმდინარეობს დამკვეთთან საზოგადოებრივი მისაღების მოდულის სამუშაო რეჟიმში გაშვების თარიღის შეთანხმება.

- **საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მართვის ავტომატური საშუალებების სისტემა - UploadMatsne-ს დაემატა** შემდეგი კომპონენტები: წიგნების გამოტანა/ფილტრაცია, დოკუმენტის შაბლონების დამატება/წაშლა, დოკუმენტის მიმღებებთან ჩაბმა, დოკუმენტბრუნვის წესები, ჭდეები, დოკუმენტის შაბლონების გამოტანა/ფილტრაცია, ძებნა, გამოქვეყნებული დოკუმენტის რედაქტირება, არქივირება, დოკუმენტის რედაქტირება, დოკუმენტის დამატება, დოკუმენტის რეგისტრაცია, დოკუმენტთან დაკავშირებული დავალებები, დოკუმენტის დამატება, დოკუმენტის სტატუსები და ქმედებები, დავალებების ქმედებები და ფილტრი, ინფორმაციული ბარათის გვერდი, დავალებების გვერდი, დოკუმენტის სტრუქტურული ხის შექმნა, ხის სტრუქტურის შენახვის იმპლემენტაცია.

  დასრულებულია მოდულების დეველოპმენტი, კერძოდ, წარმოების ქმედებები, დოკუმენტის ქმედებები, დავალებების მოდული, უმოქმედობის სესიის შეწყვეტა, ტექსტურ რედაქტორში სტრუქტურული ხის ჩაშენება, ტექსტურ რედაქტორში ძებნა-ჩანაცვლების ფუნქციონალის დეველოპმენტი და მომხმარებლის პროფილი.

- **Matsne.gov.ge-ს დაემატა:** სიახლეები, გამოკითხვა, პროფილი, საძიებო პანელი/ცხრილი, მომხმარებლების ორგანიზაციიდან წაშლა, ტესტების მართვა, სტატისტიკა, კითხვების მართვა, მომხმარებლების სერვისების მართვა (მომხმარებლების მართვა). დასრულებულია: მომხმარებლის პროფილის დეველოპმენტი; კომენტარების მართვა (Back); დოკუმენტის კომენტარების ფუნქცონალი (Back); დოკუმენტის საძიებო პანელი(Back); დოკუმენტის სტრუქტურული ხის შექმნა; ხის სტრუქტურის შენახვის იმპლემენტაცია.

- **Publish.matsne** - დაემატა: რამდენიმე ხელმომწერა, ხელმომწერის მინიმუმის და მაქსიმუმის შეზღუდვა, რეფაქტორინგი, ტესტირება/ბაზების რეპოპულაცია, პრეზიდენტთან ავტორიზებაზე გადაგზავნა, პრეზიდენტის ვეტო/ I-II უარყოფა, პრეზიდენტის თანხმობა, ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერა, პრეზიდენტთან ავტორიზაციაზე გადაგზავნა, დოკუმენტის წარმოების შეჩერება/დაბრუნება, ელექტრონული კვალიფიციური დამოწმებული დოკუმენტების არქივი, დოკუმენტის დეტალური დათვალიერება, მომხმარებლის დამატება/მინიჭება (წარმოების ქმედებები), ხელმოწერა და ავტორიზაცია, ვეტოს დაძლევა, პაკეტების დაბრუნება, ელექტრონული კვალიფიციური დოკუმენტების არქივი, დასკვნა დადებული დოკუმენტები, წარმოებაშეჩერებული დოკუმენტები, სატესტო გარემოს გამართვა, კომენტარები, დოკუმენტთან დაკავშირებული ქმედებები, წარმოების ქმედებები, ავტორიზაციის ქმედებები. განხორციელდა ES-ის ლოგირების სერვერის მოწყობა ახალი სისტემისთვის, უმოქმედობის სესიის შეწყვეტა, ტექსტურ რედაქტორში სტრუქტურული ხის ჩაშენება, ტექსტურ რედაქტორში ძებნა-ჩანაცვლების ფუნქციონალის დეველოპმენტი და მომხმარებლის პროფილის დამატება.

- **MobileApp** - განხორციელდა გარემოს გამართვა, საბაზისო ნავიგაციის და საერთო კომპონენტების გამართვა, მთავარი გვერდის UI, Expo გარემოს მოწყობა, დაინერგა ნავიგაცია და პლაგინები. მიმდინარეობს მონაცემთა მიგრაციის გეგმის მომზადება.

- **cis.gov.ge - სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემის სასამართლოსთან ინტეგრაცია (დოკუმენტების მიმოცვლის ელექტრონული სერვისი)** - დასრულებულია ორი ქმედების დეველოპმენტი: განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და განჩინება გირაოს თანხის შემცირების შესახებ. პროცესი განახლდება სასამართლოს მხრიდან დეველოპმენტის დაწყების შემდეგ.

- **სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემა (cis.gov.ge, e-enforcement.ge)** - დასრულებულია კოორდინატორის ხედვის ფუნქციონალის დამატება და სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხის და ორი დადგენილების დეველოპმენტი. ტესტირების შედეგად ორ ქმედებაში პროკურატურის მოთხოვნით მიმდინარეობს ცვლილებების ასახვა. სტატისტიკის მოდულში, გამოძიების დაწყების უნივერსალურ რეპორტს, პროკურატურის მხრიდან დაემატა ახალი მოთხოვნები, დამუშავდა ტექნიკური დავალების დოკუმენტი. გადაგზავნილია პროკურატურაში საბოლოო დადასტურების მიზნით.

- **ბილინგის მართვის და მონიტორინგის სისტემა** - მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი. სააგენტოების მხრიდან მიმდინარეობს კატალოგში სერვისების აღწერა/დამატება. ციფრული მმართველობის სააგენტო უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას დეველოპმენტ გუნდისთვის. მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები ხელშეკრულების მხარეებს შორის. გამოცხადდა ინტერესთა გამოკითხვა (Call for Interest) ბილინგისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნისა და მხარდაჭერის მიზნით. მხარეებს მიეწოდათ ზემოთაღნიშნული სისტემის შექმნისთვის განსაზღვრული, ბიზნეს მოთხოვნების დოკუმენტი. მიმდინარეობს მხარეებს შორის სახელშეკრულებო პირობების შეთანხმება.

- **სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის განახლება** - დასრულებულია მუშობა სისტემის სხვადასხვა კომპონენტზე: პაროლის შეცვლა, უმოქმედობის 1 საათიანი ვადის კონტროლი, ავტორიზაცია მომხმარებლით და პაროლით, როლების მენეჯმენტი, უფლებების მენეჯმენტი, ჯგუფების მენეჯმენტი. მიმდინარეობდა მუშობა სისტემის სხვადასხვა კომპონენტზე. დასრულებულია (ფაქტები): განცხადების რეგისტრაციის ყველა სეგმენტის დეველოპმენტი. მოვალეთა რეესტრი: მიმდინარეობს განცხადების რეგისტრაციის დეველოპმენტი. დასრულებულია (მოვალეთა რეესტრი): განცხადების ჩაწერა; ფაილის მიმაგრება, განცხადების გვერდი. საქმისწარმოება: დასრულებულია განცხადების ყველა სეგმენტის დეველოპმენტი, დაწყებულია ტესტირება და ბაგების გასწორება, დასრულებულია განცხადების უმეტესი სეგმენტის ტესტირება/ხარვეზების გასწორება; „განაწილების“ მოდულის დეველოპმენტი.
  მიმდინარეობს განცხადების ჩანართების კომპონენტების დეველოპმენტი, ტესტირება, ხარვეზების გასწორება.
  დაწყებულია: წარმოების მოდულის დეველოპმენტი. საქმისწარმოება: მიმდინარეობს მოძიება მოდულში, სოციალური სააგენტოს დეველოპმენტი, სმს-ის გაგზავნის დეველოპმენტი, წარმოების მოდულის დეველოპმენტი, რიგი კომპონენტების ტესტირება, ხარვეზების გასწორება.
  მიმდინარე (ფაქტები): მიმდინარეობს ჩანართების "ოქმი", "მულტიმედია" ტესტირება, ბაგების გასწორება, საქმეების ძებნის ტესტირება, ჩანართი - წარმოების დეველოპმენტი.

- **სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა** - დასრულებლია მუშაობა განაწილების მეთოდში სტატუსების დამატებაზე.

- **ქართული ენის ელექტრონული სწავლების პლატფორმა (eacademy.tcj.gov.ge)** - დასრულებულია.

- **ელექტრონული მართვის სისტემა (EMS)** - დასრულებულია: სისტემის სხვადასხვა კომპონონეტები: მოწყობილობის რეგისტრაციის გადატანა, ლოგირების მოდულზე მუშაობა, ტაბელში არსებული გამოუყენებელი გრაფიკების დამალვა, ბიოსტარ-კომუნიკატორის გადაყვანა მრავალ-გეითვეიან სისტემაზე, ტაბელში კონფიგურაცია და უფლებების განახლება, დათვლის ალგორითმის განახლება, შესვლა-გასვლებისა და ბარათების გაწერა/წაშლის დავალების განახლება (დეს), მიღების ბარათის განახლება აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილის რამდენიმე ტიპზე, პროგრესის მონაცემების მართვის პანელის შექმნა, ბარათის/საშვის დამატების ფუნქციონალის ცვლილება, მრავალგეითვეიანი ბიოსტარ კომუნიკატორის ოპტიმიზაცია, გეითვეი-მენეჯერის მოდულის დამატება, ტაბელში კონფიგურაცია/უფლებების მოდელის რეფაქტორინგი და გასუფთავება, გადატანილი შვებულების აღრიცხვა ტაბელის მოდულში, საანგარიშო პერიოდის ბეჭდვის ფუნქციონალის დამატება ტაბელის მოდულში, კონფიგურაციების და უფლებების ადმინისტრირება ტაბელის მოდულში, ინტერფეისის ცვლილება ტაბელის მთავარ მენიუს სვეტში.
  მიმდინარეობს: პრობაციაში ახალი ტაბელის დანერგვა (გაშვებულია სატესტო რეჟიმში, მიმდინარეობს ჯობის განახლება შესვლა-გასვლების წამოღებისთვის), გრძელმიფარეიანი ID ბარათების ტაბელში დამატება (მიმდინარეობს სატესტო რეჟიმი, რამდენად მუშაობს ახალი ვერსიით დაკონვერტირება) და ახალი ვერსიის წამკითხველების დამატება საჯარო რეესტრის ლილოს ფილიალში, პრობაციაში სატესტო ტაბელის დანერგვა, ახალი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ტაბელში რეგისტრაცია (ბიოსტარის/წამკითხველების კონფიგურაცია).

- **იუსტიციის სახლის ელექტრონული სისტემა** - არსებულ სისტემაში დაემატა ახალი უწყება - "სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო" და მისი ორი სერვისი "საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის ნებართვა" და "საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა".

- **დასრულდა მთავარ ფუნქციონალზე** - ბილდერზე მუშაობა. დაგეგმილია სატესტოდ სერვისის აწყობა. სისტემის განახლების ფარგლებში ბილდერში დასრულდა ძირითადი კომპონენტები. მიმდინარეობს PDF დოკუმენტის გენერაცია განაცხადის შექმნის შემდეგ.

- **პენიტენციური სამსახურის ჯავშნების სისტემა** - შეხვედრა გაიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და იუსტიციის სახლის წარმომადგენლებთან, სადაც გამოიკვეთა დამატებითი ფუნქციონალის და როლების დამატების საჭიროება. შეიქმნა მომხმარებლის სახელმძღვანელო. სისტემა სატესტო რეჟიმშია, ჩატარდა ტრენინგები იუსტიციის სახლის წარმომადგენლებთან.

- **სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელ. სისტემა (არსებული)** - დასრულდა სერვისის აწყობა ეროვნულ ბანკთან. დასრულებული: ბაზის მხარე - გასაჩივრების მოდულში ველის დამატება; მიმდინარე: CMR - ატვირთულ დოკუმენტებში ფეიჯინგი. დასრულებულია: ბაზის მხარე - აფიდავიტი CON ტენდერებისთვის. მიმდინარე: Front - კონფიდენციალურობის პოლიტიკის ცვლილება.

- **BI სისტემის ინტეგრაცია** - დასრულდა სამუშაო პროცესი შემდეგ ორგანიზაციებთან: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ციფრული მმართველობის სააგენტო (My.gov.ge); პრობაციის ეროვნული სააგენტო; გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთა სერვისები; სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო; ტურიზმის ეროვნული სააგენტო; შსს მომსახურების სააგენტო; დევნილთა ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; აღსრულების ეროვნული ბიურო; შპს გლობალსელი და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. დასრულდა მონაცემების წამოღება და ვიზუალიზაცია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. მიმდინარეობს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ ბაზებიდან წამოღებულ მონაცემებში კორექტირებები.

- **საქართველოს ეროვნული არქივი** - პროგრამის შექმნის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ბაზრის კვლევა.

- **საჯარო შესყიდვების ერთიანი ელ. სისტემა GE-GP (system)** - მიმდინარეობს განცხადებების ინტეგრაციის დეველოპინგი, მოკვლევა, ანალიზი. მიმდინარეობს შემდეგი ჩანართების დეველოპინგი: ჩანართი - “გამარჯვებული”; ჩანართი “ხელშეკრულება”, მოდული “კონტრაქტები”, მოდული “EPLAN”, “SMP” მოდული, “CMR” მოდული. მიმდინარეობს ტესტირება, ბაგების გასწორება: ჩანართი “გამარჯვებული”, ჩანართი “ხელშეკრულება”, მოდული “კონტრაქტები”, ჩანართი “შეფასება”, “SMP” მოდული, “CMR” მოდული, ჩანართი “რანჟირება”, ორგანიზაცია - დისკვალიფიკაცია (შედეგების გვერდი), ჩანართი “შედეგები”, “კითხვა-პასუხის” მოდული. მიმდინარე: მოდული “EPLAN”, “Front” - “Excel” ფაილის ექსპორტი, მიმდინარეობს განცხადებების ინტეგრაციის დეველოპინგი. დასრულებულია: კრიტერიუმები - ჩანართი “დოკუმენტაცია”, შედეგების გვერდზე კლასიფიკატორის ჩანაწერის დამატება.

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს, არქივის მართვის სისტემის შექმნა** - დასრულდა მუშაობა არსებული ბიზნეს პროცესისა და მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტზე. პროგრამის შექმნის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული არქივის მხრიდან მიმდინარეობს ბაზრის კვლევა.

- **სახელმწიფო ენის პორტალი (ენის პალატა)** - დასრულდა პორტალის მოდულის "ლექსიკოგრაფიული პლატფორმა" ფუნქციონალური აღწერის დოკუმენტზე მუშაობა. აღწერის დოკუმენტი დამკვეთის მხრიდან დადასტურებულია. მიმდინარეობს პორტალის მოდულის "სახელთა ბაზები" მოთხოვნების შეგროვება და იქმნება მოკაპები.

- **სახალხო დამცველის აპარატის შიდა სოფტი (ქეის მენეჯმენტი)** - დასრულებულია მუშაობა ტექნიკურ დოკუმენტზე და დიზაინზე. შესარულებელი სამუშაოები განსაზღვრულია და მიწოდებულია ინფორმაცია დამკვეთთან უკუკავშირის მიღების მიზნით.

- **პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მართვის ელ. სისტემა - PDCEMS** - პროექტის დეველოპმენტი დასრულებულია. პროდუქტის მფლობელის მხრიდან გაიტესტა ფუნქციონალი. საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა ელ. სისტემაში მუშაობისთვის შესაბამისი ტრენინგები. პროდუქტი დასრულებულია და მზადაა გადასაცემად. დაქირავებული კონტრაქტორი ამზადებს ანგარშს.

- **კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგსა და შეფასების ელ.სისტემა** - დასრულდა სამუშაოები. პროდუქტი დასრულებულია და მზადაა გადასაცემად. პროდუქტი განთავსდება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ინფრასტრუქტურაზე.

- **უნივერსალური ადმინისტრირების პანელი** - დასრულებულია ყველა ვებ-გვერდის დეველოპმენტი და გადატანილია რეალურ გარემოში.

- **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი (justice.gov.ge)** - დასრულებულია სიახლის სურათების მორგება საჯაროდ ხილვადი სივრცის მთავარ გვერდზე (დესკტოპი, მობილური), სლაიდერის სურათის მორგება მობილურზე, ვიდეო სიახლეების გვერდი. შესაქმნელია ახალი მოდელი, ვიდეოს ჩამონათვალის გვერდი, ვიდეოს დეტალური გვერდი (არსებული დიზაინით). შეთნხმება და ტექნიკური დავალების დაწერა მოდელისთვის "ტელე ვიდეოების გვერდი". დაიწერა ტექნიკური დავალება - "კვირის საინფორმაციო კოლაჟი" -ს გვერდებისთვის: ვიდეოების ჩამონათვლის გვერდი და ვიდეოს დეტალური გვერდი(საჯაროდ ხილვადი სივრცე და ადმინისტრირების სისტემა), სიახლეების და სტრუქტურის მოდელებში სურათების ზომების შეცვლა, google map მოდელში იუსტიციის სამინისტროს პინის მდებარეობის შეცვლა (ქართულ და ინგლისურ გვერდებზე), ბეჭდვის გვერდზე ლოგოს შეცვლა (ქართულ და ინგლისურ გვერდებზე).

- **RE_BOX სისტემა** - სრულდება დეველოპმენტი დაგეგმილია ტესტირება დამკვეთის მხრიდან.

- **EMS - საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (დაახლოების მონაცემთა ბაზა-იუსტიციის სამინისტრო)** - დაახლოების მონაცემთა ბაზის სტატისტიკის მოდულში განხორციელებული ცვლილებები გადატანილია რეალურ გარემოში.

- **სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ელ.სისტემის განახლება** - დასრულდა ავტორიზაციის ფუნქციონალზე მუშაობა. დამკვეთთან ფუნქციონალის შესახებ საკითხების დაზუსტების პარალელურად მიმდინარეობს მომხმარებლის უფლებების და როლების ფუნქციონალზე მუშაობა. დასრულდა მომხმარებლის გაუქმება/დეაქტივაცია, აქტების რეესტრის და ძებნის ფუნქციონალებზე მუშაობა.

- **ციფრული მმართველობის სააგენტოს ვებ-გვერდი (dga.gov.ge)** - მიმდინარეობს ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მუშაობა.

- **ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდი acb.gov.ge** - ადმინისტრირების სისტემის კონტაქტის ფორმაში ჩამატებულია დამატებითი რიცხვითი ველი ტელეფონის ნომრისთვის.

- **იუსტიციის სამინისტროს მართვის სისტემა (https://ms.justice.gov.ge/)** მიმდინარეობს მოთხოვნილი ცვლილებების ანალიზი, დასრულდა დიზაინი. გაიმართა შეხვედრა იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებთან დიზაინის საბოლოო ვერსიის წარდგენის მიზნით. ელოდებიან მათი მხრიდან დადასტურებას.

- **პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი cpp.gov.ge** - ინიციატივების გვერდი "PROBIDEAS" გახსნილი იყო ნებისმიერი მომხმარებლისთვის. მიმდინარეობს ცვლილებები, სააგენტოს მიერ გვერდზე შიდა ქსელზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

- **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებსაიტი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებსაიტების https://police.ge/ - https://info.police.ge/ გაერთიანება. მიმდინარეობს მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტზე მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ზევით ჩამოთვლილი ყველა სისტემის/ ვებ-გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი.

4. სტრატეგიული დაგეგმვა და საერთაშორისო ურთიერთობები

- **ციფრული მმართველობის სტრატეგია** - სხვადასხვა უწყებიდან მიღებული კომენტარებისა და მოსაზრებების, ასევე საჯარო განხილვების შედეგად მიღებული მოსაზრებების ანალიზის შემდეგ **მომზადდა შესაბამისი ანგარიში** და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები როგორც სტრატეგიის, ასევე სამოქმედო გეგმის პროექტებში. დასრულდა დოკუმენტების რედაქტირება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან პირველადი კონსულტაციის შედეგად მიღებული ანგარიშის საფუძველზე. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტირების ინსტრუმენტის დოკუმენტები დარედაქტირდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ების მიერ გაზიარებული აქტივობების შესაბამისად.

  ოფიციალურად დამტკიცების მიზნით, სტრატეგია, შესაბამისი დანართებით მიწოდებულია იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტისთვის. საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგიის დოკუმენტი, არსებული დანართებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მიერ შეფასდა დადებითად, პარალელურად ტექნიკური ხასიათის შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტში და მის დანართებში.

- **კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა** - დოკუმენტები ითარგმნა ქართულ ენაზე და გაგზავნილია რელევანტურ უწყებებთან შეთანხმების მიზნით. პარალელურად მიმდინარეობს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებზე მუშაობა.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, სხვა რელევანტურ უწყებებთან ერთად ჩართულია **საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2025-2027 წლების ეროვნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის** შემუშავების პროცესში. ამ ეტაპზე შემუშავებულია სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია. აღნიშნულ პროცესში უწყებათშორის კოორდინაციას ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი.

- **მომზადდა და გადაიგზავნა ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU-ს) მიერ „გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის“ შეფასების კითხვართან დაკავშირებით გადმოგზავნილ დაზუსტებებზე პასუხები.** აღნიშნული კითხვარის შევსებაზე ქვეყნის მასშტაბით პასუხისმგებელია ციფრული მმართველობის სააგენტო. ინდექსი ამოწმებს, არსებობს თუ არა ქვეყანაში სამართლებრივი, ტექნიკური, საორგანიზაციო, შესაძლებლობების გამაძლიერებელი და თანამშრომლობის ინსტრუმენტები და განსაზღვრავს ქვეყნის პოზიციას ITU -ს წევრ 193 ქვეყანას შორის.
- მომზადდა პასუხი USAID ექსპერტების მიერ შემუშავებულ **AI -ს კითხვარზე**.
- სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **სამთავრობო პროგრამის „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“** შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში.
- სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **„2024-2030 წლების ევროკავშირის ჭკვიანი სპეციალიზაცია (S3/Smart Specialisation) იმერეთისთვის“ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის** პროექტისთვის კომენტარები.
- მომზადდა **„საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის“** 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს 6 თვის ანგარიში.
- მომზადდა სააგენტოს მანდატის ფარგლებში **სამინისტროს 2024 წლის კვლევითი სამოქმედო გეგმის ანგარიში.**
- სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **„ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიის“** შესრულების მიმდინარეობის შესახებ 2024 წლის 6 თვის ანგარიში.
- **სააგენტოს მანდატის ფარგლებში შეივსო "ITU World Telecommunication/ICT Regulatory Survey 2024" კითხვარი**, რომლის სათანადოდ შევსებაზე არის დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნის ციფრული განვითარების პროცესების დადებითად წარმოჩენა და ICT რეიტინგებში მოწინავე პოზიციების დაკავება.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით განაგრძობს **თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან**. პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომლობა პარტნიორებთან USAID, EU, UNDP, GIZ, UKGCPP.
- მიმდინარეობს მუშაობა **საგრანტო პროექტზე NATO-ს სამოკავშირეო ოფისთან საქართველოში**, რის შედეგადაც სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს გადმოეცემა მობილური კიბერ ლაბორატორია.
- სააგენტოს სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე **შეხვედრა გაიმართა დანიის სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციასთან.**

- შემუშავდა და **გაიგზავნა საგრანტო პროექტის განაცხადი კორეის შინაგან საქმეთა და უსაფრთხოების სამინისტროსთან**. დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ შეიქმნება Digital Government Cooperation Center (DGCC), რომელიც ითვალისწინებს კორეის მხრიდან საექსპერტო-ტექნიკური დახმარების აღმოჩენას ქართული მხარისთვის 2025-2027 წლებში.

- თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე და საქართველოში ფინანსური ტექნოლოგიების სტრატეგიის (Fintech strategy) და ღია ბანკინგის (Open Banking) პრინციპების დანერგვის ინიციატივის თაობაზე **შეხვედრა გაიმართა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან.**

- უზბეკეთის იუსტიციისა და ტრანსპორტის სამინისტროების დელეგაცია საჯარო სერვისების მიწოდების სისტემების გაცნობისა და ამ სფეროში წარმატებულ პრაქტიკის გაზიარების მიზნით ციფრული მმართველობის სააგენტოს სტუმრობდა. **უზბეკეთის დელეგაცია სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს გამოცდილებას გაეცნო.**

- **გაიმართა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის შეხვედრა ლატვიის ელჩთან.**

- **გაიმართა შეხვედრა ევროპის საინვესტიციო ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების ხელმძღვანელთან, კიბერუსაფრთხოების ექსპერტ ელენა მატონესთან**. შეხვედრაზე განხილული საკითხები ეხებოდა კიბერუსაფრთხოების სფეროში სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატს და სამომავლო თანამშრომლობის გზებს.

- **შეხვედრა გაიმართა „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC)“ წარმომადგენლებთან**. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში თანამედროვე ციფრული ფინანსური სერვისების შემოღების პერსპექტივა. IFC წარმომადგენლები მიზნად ისახავენ საქართველოში ციფრული ფინანსების განვითარების მრავალმხრივ ხელშეწყობას, რათა კერძო სექტორმა ეფექტურად შეძლოს აღნიშნული ტექნოლოგიების ათვისება. ამ მიმართულებით, მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია და ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივაზე.

- **გრძელდება თანამშრომლობა ბრიტანეთს საელჩოს პროგრამასთან UKGCP**, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ახალი ფაზა,

- **გრძელდება თანამშრომლობა EU4Digital-თან**, მიმდინარეობს მუშაობა მონაცემთა მმართველობის შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით,

- **IMF-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში**, კიბერრისკების მიმართულებით არსებული საფრთხეები და გამოწვევები განიხილეს შეხვედრაზე, ასევე საუბარი შეეხო სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს როლს Fin Tech თან დაკავშირებით,

- **გაიმართა შეხვედრა უზბეკეთის დელეგაციასთან**, სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე. შეხვედრას უზბეკეთის ანტიკორუფციული სააგენტოსა და სტატისტიკის სააგენტოს, ასევე, ეუთოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის GIZ-ის პროექტის ფარგლებში **ჩატარდა კვლევა - „სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება“**.

- **2024 წლის „მინისტრის საათისთვის“,** სააგენტოს მანდატის ფარგლებში, მომზადდა ანგარიში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ.

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის GIZ-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა **my.gov.ge-ს პორტალის კომუნიკაციის სტრატეგია და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა**.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის** სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის 6 თვის ანგარიში, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **„საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის“** 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **„ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის"** ცვლილების პროექტზე - კომენტარები.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **„ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის"** 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **„სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიის"** 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში.
- გრძელდება კომუნიკაცია **მსოფლიო ბანკის მისიასთან** კიბერუსაფრთხოების და ციფრული მმართველობის განვითარების კუთხით სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.
- **ხელი მოეწერა** სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და აზერბაიჯანის ელექტრონული უსაფრთხოების სამსახურს შორის **თანამშრომლობის მემორანდუმს**.

- მომზადდა **„საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ"** ანგარიში.
- სააგენტოს მანდატის ფარგლებში განახლდა **"კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის შესრულების შეფასების"** დოკუმენტი.
- სააგენტოს მანდატის ფარგლებში, ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership – OGP) ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმის (Independent Reporting Mechanism - IRM) მიერ მომზადებული **„ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მიმოხილვის" დოკუმენტისთვის შენიშვნებისა და კომენტარების მომზადება.**

- 13 სექტემბერს გამოქვეყნებული **ITU-ს GCI - გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის 2024 წლის ანგარიშის** საფუძველზე, ქვეყნის ჭრილში მომზადდა მოკლე ანალიზი.

- 17 სექტემბერს გამოქვეყნებული **გაეროს ელ-მმართველობის კვლევის 2024 წლის ანგარიშის (UN E-Government Survey 2024)** საფუძველზე, ქვეყნის ჭრილში, მომზადდა მოკლე ანალიზი.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს **ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფთან (GRETA)** სამუშაო შეხვედრაში.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისთვის **„Further development of public service delivery system using mobile and online means“** - შესახებ.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის** შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის **სამოქმედო გეგმის 6 თვის ანგარიში**.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **PAR-ის 2023-2024 წლების** სამოქმედო გეგმის განხორციელების **2024 წლის პროგრეს (მონიტორინგის) ანგარიშისთვის** მომზადდა კომენტარები.

- სააგენტოს მანდატის ფარგლებში **შემუშავდა მოსაზრებები „ტრეფიკინგი-სადმი მოწყვლადი ჯგუფების დანაშაულისგან დაცვის“ ანგარიშის** თაობაზე. დოკუმენტთან ერთად, იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამუშო შეხვედრაზე, განხილული იყო **ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მორიგი მონიტორინგის ვიზიტისთვის** მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვის საკითხები.

- **გაფორმდა მემორანდუმი სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ.** მემორანდუმის მიზანია სააგენტოსა და უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლას (შემდგომში - „სკოლა“) შორის თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივი საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საზოგადოებრივი და სხვა მიზნობრივი პროექტების განხორციელება, მათ შორის „სკოლის“ სტუდენტების სტაჟირების, სასწავლო პრაქტიკის ხელშემწყობის პროექტების მხარდაჭერა.

- მე-10 მოწვევის პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის შეჯამების მიზნით, მომზადდა **ანგარიში სააგენტოსთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის** შესახებ.
- სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში **შეივსო კითხვარი** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევითი **პროექტისთვის - „საქართველოში ციფრული მმართველობის დანერგვის სამართლებრივ-ტექნოლოგიური გამოწვევები“** (ესტონეთის გამოცდილების მაგალითზე).
- სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მანდატის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს “საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და მისი განხორციელების **2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტებზე მომზადდა კომენტარები.**
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **„ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ 2025-2028 წლების** სტრატეგიის დოკუმენტზე **მომზადდა კომენტარები და შენიშვნები**.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **სამთავრობო პროგრამის (2025-2028)** დოკუმენტზე, **მომზადდა კომენტარები/რეკომენდაციები**.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **EU4Digital/Data governance assesment for Georgia** დოკუმენტზე, **მომზადდა კომენტარები/ რეკომენდაციები.**
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **შემუშავდა ხედვა 2030** საქართველოს განვითარების სტრატეგიის - **2025 წლის სამოქმედო გეგმის აქტივობები**.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **მომზადდა** საქართველოსა და ჩინეთს შორის **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დოკუმენტზე კომენტარები**.
- სამინისტროს სისტემის ფარგლებში პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის კოორდინირებულად და პროცესების სისტემურად წარმართვისთვის, **შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტებში სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების კონსოლიდირებული დოკუმენტი**. სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტების **აღრიცხვის, ანალიზისა და მონიტორინგის მატრიცა**.
- გრძელდება კომუნიკაცია **მსოფლიო ბანკის მისიასთან** კიბერუსაფრთხოების და ციფრული მმართველობის განვითარების კუთხით სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **მომზადდა** ანგარიში **ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების გეგმის (მე-10 თავი) შესახებ**.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **შეივსო კითხვარი მსოფლიო ბანკის „Business Ready“ კვლევის „Utility Services – Internet“** კომპონენტის შესახებ.

- **2024 წლის, 18 დეკემბერს გაიმართა** სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის კომისიის პირველი სამუშაო სხდომა.

- **მომზადდა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნა** ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტის, ადამიანის უფლებებსა და ხელოვნურ ინტელექტზე სამუშაო ჯგუფის (CDDH-IA) მიერ შემუშავებული კითხვარი (Questionnaire to member States on human rights and artificial intelligence), რომელიც ეხებოდა წევრი სახელმწიფოების მიერ **ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ შიდა პრაქტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის** მიწოდებას.

- 2022 წლის 31 ოქტომბერს, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტზე **„საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში - ფაზა 2“**. ხელშეკრულების ფარგლებში, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტომ მხარდაჭერა მიიღო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნაში, ასევე ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის My.gov.ge-ის განახლებაში. **დეკემბრის თვეში აუდიტორულ კომპანიას მიეწოდა ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის მომზადდა პროექტის ფინალური ანგარიში.**

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **შეივსო მსოფლიო ბანკის „Business Ready“** ახალი რეიტინგის კვლევისთვის მე-2 საპილოტე კვლევის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული **კითხვარი კომპონენტზე “Utility Services – Internet”**.

- **დასრულდა მუშაობა სახელმწიფო სერვისების კატალოგის ერთიან ჩარჩო დოკუმენტზე.**

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **შემუშავდა ხედვა 2030** საქართველოს განვითარების სტრატეგიის - **2025 წლის სამოქმედო გეგმის აქტივობები**.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მომზადდა **საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2024** წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში **მომზადდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში**.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მანდატის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა **„ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის" 2025-2028 წლების** სტრატეგიის დოკუმენტზე და აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების ახალ **2025-2026 წლების სამოქმედო გეგმაზე.**

- სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს" საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აგრძელებს თანამშრომლობას სამხრეთ კორეის შინაგან საქმეთა და უსაფრთხოების სამინისტროსთან (MOIS) და კორეის ეროვნული ინფორმაციის სააგენტოსთან (NIA) **ქართულ-კორეული ციფრული თანამშრომლობის განვითარების ცენტრის (DGCC) შექმნასთან დაკავშირებით**. სააგენტომ დეკემბრის თვეში (7-9 დეკემბერი) უმასპინძლა MOIS/NIA-ს შემფასებელ მისიას საქართველოში. **აღნიშნული მისიის ფარგლებში განხორციელდა DGCC-ს პრაქტიკული განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება.**

5. სამართლებრივი წარმოება

- 2024 წლის მარტში **დასრულდა მუშაობა ბილინგის სამმხრივ ხელშეკრულებაზე**, რომელიც ფორმდება სააგენტოს, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებსა და შპს „ოლ ფეი ვეის“ შორის. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი. ხელშეკრულების მიზანია იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებში დაინერგოს ახალი, ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს მიწოდებული სსიპ-ების მიერ მიწოდებული სერვისებისთვის გადახდილი საფასურების შესახებ ინფორმაციის დროულ მიღებას, იდენტიფიცირებას, სისტემატიზებულად აღრიცხვასა და მონიტორინგს. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ სამმხრივ ხელშეკრულებას წინ უსწრებდა სამუშაოების მოსამზადებელი ეტაპის შექმნისთვის სააგენტოსა და შპს „ოლ ფეი ვეის“ შორის გაფორმებული ბილინგის ორმხრივი ხელშეკრულება.

- **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებს (სულ – 19) „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევისთვის**, კერძოდ, ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის/პენეტრაციის ტესტის ჩატარების ვალდებულების დარღვევისთვის, ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესების განსახილველად წარუდგენლობისთვის/ შესასრულებლად სავალდებულო მითითების შეუსრულებლობისთვის, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის/პენეტრაციის ტესტის დასკვნის ეგზემპლარის წარუდგენლობისთვის, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 106, 107 და 109 მუხლების საფუძველზე შეეფარდათ ადმინისტრაციული სახდელები.

- **„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების“ შესახებ საქართველოს კანონის eIDAS 2.0 სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა** - USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში დაქირავებულ საერთაშორისო ექსპერტთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის eIDAS 2.0 რეგულაციასთან შესაბამისობის მიზნით შემუშავდა წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. დოკუმენტი ამჟამად გადის რევიზიას სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს რელევანტური თანამშრომლების მიერ.

- სააგენტოს გადაწყვეტილებით, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №343 დადგენილებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად **საქართველოში აღიარებულ იქნა უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება.**

- კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების **აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა ერთ ორგანიზაციასა** და მის ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტორს.

- **MY.GOV.GE-ის სამართლებრივი რეგულირების პროექტის ფარგლებში შემუშავდა დოკუმენტების პირველადი პროექტები** – სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების „სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში მომზადდა შემდეგი დოკუმენტების პირველადი პროექტები:
  - საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
  - საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.
  - სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი „ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის „MY.GOV.GE“ გამოყენების პირობების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“,
  - „ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის „MY.GOV.GE“ გამოყენების პირობები“,
  - „ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის „MY.GOV.GE“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის სტანდარტები“,
  - მომსახურების ხელშეკრულების პროექტი ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის „MY.GOV.GE“ გამოყენებით ელექტრონული სერვის(ებ)ის მიწოდების შესახებ.

- დასრულდა მოლაპარაკება და შეთანხმდა ხელშეკრულების პროექტი საქართველოს ბანკთან MY.GOV.GE-ზე მათი **საგადახდო არხის დამატებასთან დაკავშირებით**.

- შედგა სამუშაო შეხვედრები **ქართუ ბანკთან და თიბისი ბანკთან MY.GOV.GE-ზე** მათი საგადახდო არხის დამატებასთან დაკავშირებით.

- სამსახურის ჩართულობით შედგა სამუშაო **შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტებთან EU4Digital პროექტის ფარგლებში**. სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა, საბოლოო სახით **საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტის ჩამოყალიბებას** აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ ელექტრონული იდენტიფიკაციის სქემების ურთიერთაღიარების შესახებ.

- შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც აღწერს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოში **არსებულ სამუშაო პროცესებს**.

- „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 107 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის (პირველი/მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესების განსახილველად წარუდგენლობა ან შესასრულებლად სავალდებულო მითითების შეუსრულებლობა) ჩადენისთვის **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის ერთ სუბიექტს** ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება.

- სააგენტოს მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით მომზადდა მიმოხილვა, რომელიც დაეხმარება სააგენტოს, სწორად დაგეგმოს მისი როლი **„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.**

- **პრეზენტაცია MY.GOV.GE-ის სამართლებრივი რეგულირების პროექტის ფარგლებში შემუშავებული პირველადი დოკუმენტების შესახებ** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების, აგრეთვე MY.GOV.GE-ზე ინტეგრირებული სხვა შესაბამისი საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის გაიმართა პრეზენტაცია MY.GOV.GE-ის სამართლებრივი რეგულირების პროექტის ფარგლებში შემუშავებული პირველადი დოკუმენტების შესახებ.

- **MY.GOV.GE-ზე საგადახდო ინსტრუმენტების გაფართოება** – საქართველოს ბანკთან ხელი მოეწერა MY.GOV.GE-ზე მათი საგადახდო არხის დამატებასთან დაკავშირებით. თითქმის დასრულებულია საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან – შპს „თიფეისთან“ მუშაობა მემორანდუმზე, რომლის გაფორმების შედეგადაც MY.GOV.GE-ის დაემატება თიბისი ბანკის საგადახდო არხი. პარალელურად, მიმდინარეობს ხელშეკრულების/მემორანდუმის პროექტზე მუშაობა ბანკი ქართუსთან.

- კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის **ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა ერთ ორგანიზაციასა** და მის უფლებამოსილ თანამშრომელს. ამასთანავე, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის **ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება გაუუქმდა ერთ ორგანიზაციასა** და მის უფლებამოსილ თანამშრომელს, ამ თანამშრომლის სხვა ორგანიზაციაში გადასვლის საფუძვლით.

- **MY.GOV.GE-ზე სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ სერვისების ინტეგრაცია** - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან გაფორმდა ხელშეკრულება MY.GOV.GE-ის მეშვეობით მათი ელექტრონული სერვისების მიწოდების მომსახურების შესახებ.

- **სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება** - მითითებული პროცესის სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა შესაბამისი კანონმდებლობის (მათ შორის, ეროვნულ არქივთან დაკავშირებული კანონმდებლობის) კვლევა.

- **MY.GOV.GE-ის მობილურ აპლიკაციაში პირადობის მოწმობისთვის (ID ბარათი) იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით** გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩატარდა შესაბამისი კანონმდებლობის კვლევა.

- კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციულ სისტემაში **შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა ერთ ორგანიზაციასა და მის უფლებამოსილ თანამშრომელს.**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ბილინგისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის დანერგვის მიზნით, ერთ-ერთი ალტერნატივის სახით, **მომზადდა სსიპ-ების შეთანხმება და ერთობლივი განცხადება ინტერესთა გამოკითხვის შესახებ**.

- განახლდა და დაინერგა სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ **ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულების შაბლონი**.

- **MY.GOV.GE-ზე საგადახდო ინსტრუმენტების გაფართოება** – საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან – შპს „თიფეისთან“ ხელი მოეწერა შეთანხმებას, რის შედეგადაც **MY.GOV.GE-ის დაემატება თიბისი ბანკის საგადახდო არხი**. პარალელურად, მიმდინარეობს ხელშეკრულების/მემორანდუმის პროექტზე მუშაობა ბანკი ქართუსთან. ამასთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა საჯარო დაწესებულებებთან, რათა მათ სერვისებზე შესაძლებელი გახდეს საფასურის გადახდა დამატებით საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის საგადახდო არხის მეშვეობით.

- კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის **ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა ერთ ორგანიზაციასა და მის ოთხ უფლებამოსილ თანამშრომელს**. კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული **უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა ერთ ორგანიზაციასა და მის უფლებამოსილ თანამშრომელს**.

- პოტენციური თანამშრომლობის პირობებთან დაკავშირებით **შედგა სამუშაო შეხვედრა კომერციულ ბანკთან, რომელმაც გამოხატა პარტნიორობის სურვილი** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში **ბილინგისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის დანერგვის მიზნით**. საკითხზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

- გრძელდება მუშაობა სააგენტოს მიერ გასაწევ მომსახურებებთან დაკავშირებით ხელშეკრულების სტანდარტული ფორმების შემუშავებისა და დახვეწის საკითხზე. **შემუშავდა IT მხარდაჭერის მომსახურების ხელშეკრულების შუალედური ფორმა**, რომლის დანერგვაც უკვე დაიწყო შემსყიდველ ორგანიზაციებთან. საკითხზე გრძელდება ინტენსიური მუშაობა.

6. ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება

- **კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის იმპლემენტაცია** - მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან იმ აქტივობების შესრულების მიზნით, რომელთა აღსრულების პროცესშიც შესაძლოა სააგენტომ მიიღოს მხარდაჭერა. პარალელურად მიმდინარეობს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროცესი.

- **კიბერუსაფრთხოების სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის პლატფორმა** - შემუშავდა კიბერუსაფრთხოების ეროვნული პლატფორმის ახალი წესდება, მიმდინარეობს პლატფორმის კონცეფციის და პროცედურების დოკუმენტებზე მუშაობა. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პირველი პლენარული შეხვედრისთვის, რომელიც დაგეგმილია მომდევნო თვის დასაწყისში. პარალელურად, პლატფორმის ფარგლებში, მიმდინარე წლის მარტში გაიმართა შეხვედრები საბანკო სექტორის და სახელმწიფო უწყებების, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. 10 აპრილს გაიმართა საჯარო-კერძო პარტნიორობის რიგით მეორე პლენარული შეხვედრა. შეხვედრაზე ძირითადი აქცენტები გაკეთდა კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერებისა და განათლების ხარისხის ამაღლების, აგრეთვე სექტორებს შორის ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობაზე. შეხვედრის ფარგლებში წევრებმა დაამტკიცეს განახლებული წესდება, აირჩიეს თანათავმჯდომარეები და დააკომპლექტეს პლატფორმის გამგეობა. შეიქმნა თემატური ჯგუფები, რომლებიც საბანკო და ენერგეტიკის სექტორების, ინფორმაციის გაცვლის, ონლაინ სივრცეში ბავშვთა დაცვის და სხვა მიმართულებებით იმუშავებენ, შემუშავდა სტანდარტული საოპერაციო პროცედურები კიბერუსაფრთხოების ეროვნული პლატფორმის ეფექტიანად ფუნქციონირებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში საჯარო-კერძო თანამშრომლობის პლატფორმის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ღონისძიებას საჯარო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, სხვა რელევანტურ უწყებებთან ერთად ჩართულია **საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2025-2027 წლების ეროვნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის** შემუშავების პროცესში. ამ ეტაპზე შემუშავებულია სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია. აღნიშნულ პროცესში უწყებათშორის კოორდინაციას ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი.

- მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან საფრთხეების შესახებ მიღებული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან შეტყობინების თაობაზე**.

- კიბერუსაფრთხოების აუდიტისთვის **მომზადდა CIS კონტროლების კითხვარი**.



- განხორციელდა allpayway-ის პორტალის **ვებ აპლიკაციის პროგრამული კოდის ანალიზი**.
- **regreSSHion მოწყვლადობის საკითხთან დაკავშირებით** მოხდა ქართული IP მისამართების მოპოვება და ინტერნეტ სერვის პროვაიდერებისთვის შეტყობინება.
- განხორციელდა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფრასტრუქტურაში არსებული **SIEM სისტემების დეტალური აღრიცხვა**.
- განახლებული იქნა ელექტრონულ **სასწავლო პლატფორმა „elearning.gov.ge"-ის სისტემა და სერვერის მოდულები უახლეს ვერსიამდე**. ასევე პლატფორმის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით რეგისტრაციისას დაყენებული იქნა reCAPTCHA მექანიზმი.

- **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან პოტენციურ საფრთხეთა შესახებ ინფორმაციის გაზიარების MISP-ის პლატფორმაზე** დაინერგა ორმაგი ავთენტიფიკაციის მექანიზმი, რაც გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას გააუმჯობესებს.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის არსებული ხელშეკრულების - **ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის მენეჯერის აუთსორსინგის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს მუშაობა და შეხვედრები ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის არსებული **ხელშეკრულების - ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- მიმდინარეობს მესამე **კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტაციის ანალიზი**, ასევე სუბიექტების კონსულტირება და რეკომენდაციების გაცემა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

- **ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების განახლება** - დასრულდა საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 27002:2013 ქართულენოვანი სამუშაო ვერსიის მომზადების პროცესი.

- სსიპ ციფრულიმმართველობის სააგენტოსა და შპს „გარდაბნის თბოსადგურს“, შპს „გარდაბნის თბოსადგურ 2“-ს შორის **არსებული ხელშეკრულებების - ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობსმუშაობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის არსებული **ხელშეკრულების - ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

7. კონსულტაციები და რეკომენდაციები

- მიმდინარეობს **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტაციის ანალიზი**, ასევე სუბიექტების კონსულტირება და რეკომენდაციების გაცემა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტმა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან დაიწყო კონსულტაციები ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლები მესამე წელს განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით.

- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტმა **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ იუმს-ის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად** გამოავლინა, რომ სამმა სუბიექტმა არ შეასრულა საქართველოს კანონით "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" და სსიპ "ციფრული მმართველობის სააგენტოს" თავმჯდომარის 2021 წლის 14 დეკემბრის N1 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები, რის გამოც განახორციელა კანონით განსაზღვრული ქმედებები გაფრთხილება/დაჯარიმება.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივსა და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის არსებული ხელშეკრულების, **ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის მენეჯერის აუთსორსინგის მომსახურების**, ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს მუშაობა და შეხვედრები ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და შპს "გარდაბნის თბოსადგურსა" და შპს "გარდაბნის თბოსადგურ 2-ს" შორის **გაფორმდა ხელშეკრულება ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის (GAP) ანალიზის დოკუმენტის შექმნის მომსახურებაზე.**

- სსიპ ციფრულიმმართველობის სააგენტოსა და შპს „გარდაბნის თბოსადგურს", შპს „გარდაბნის თბოსადგურ 2"-ს შორის **არსებული ხელშეკრულებების - ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობსმუშაობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით **გაზიარებული იქნა APT28 კამპანიის შეტევის ინდიკატორები**.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის არსებული ხელშეკრულების - **ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის მენეჯერის აუთსორსინგის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს მუშაობა და შეხვედრები ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის არსებული **ხელშეკრულების - ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის **გაფორმდა ხელშეკრულება ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურებაზე**, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების უზრუნველყოფა.

- **დასრულდა არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის**. ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავებული და მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის ანგარიში.

- სსიპ ციფრულიმმართველობის სააგენტოსა და შპს „გარდაბნის თბოსადგურს“, შპს „გარდაბნის თბოსადგურ 2“-ს შორის **არსებული ხელშეკრულებების - ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მომსახურების** ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობსმუშაობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების უზრუნველსაყოფად.

- **უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში** - საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე მიმდინარეობს სხვადასხვა სახის კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების აქტივობებისა და ღონისძიებების მოსამზადებელი სამუშაოები.

- მიმდინარეობს მესამე **კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტაციის ანალიზი**, ასევე სუბიექტების კონსულტირება და რეკომენდაციების გაცემა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

8. კიბერინციდენტებზე რეაგირება, კიბერსისუსტეებისა და კიბერინციდენტების აღმოჩენა

- 2024 წლის განმავლობაში სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფმა **CERT.DGA.GOV.GE** რეაგირება მოახდინა საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირებულ **131 ინციდენტზე**.
- მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან საფრთხეების შესახებ მიღებული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან შეტყობინების თაობაზე**.
- **განხორციელდა კიბერუსაფრთხოების აუდიტი** სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოში არსებულ რამდენიმე სერვერზე.
- სააგენტოს შიდა ინფრასტრუქტურაში არსებულ 2 სერვერზე **აღმოჩენილი იქნა კრიტიკული დონის მოწყვლადობა, მომზადდა რეკომენდაციები და მიმდინარეობს გამოსწორებითი სამუშაოები.**
- **მუდმივად ხორციელდება კიბერინციდენტებზე რეაგირება და გავრცელებული ფიშინგის შემთხვევების დაბლოკვა ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან კომუნიკაციის გზით.**

9. სწავლება, ცნობიერების ამაღლება

- 2024 წლის განმავლობაში ელექტრონულ სასწავლო პლატფორმა **„elearning.gov.ge“**-ზე, მოსახლეობისა და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების მიზნით განთავსებულ კიბერუსაფრთხოების საბაზისო და შესავალ კურსებზე, **დარეგისტრირდა 5799 მონაწილე (მათგან საჯარო მოხელე - 1351), ხოლო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 4748-მა პირმა (მათგან საჯარო მოხელე - 1074)**.
- **მომზადდა „კიბერ კრიზისის მენეჯმენტის“ ონლაინ კურსი**, რომელიც ელექტრონულ სასწავლო პლატფორმა „elearning.gov.ge“-ზე განთავსდა და ხელმისაწვდომია საჯაროდ.
- **მომზადდა ღია წყაროების კვლევისა და პასიური სკანირების (OSINT) მეთოდოლოგია.**
- მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან საფრთხეების შესახებ მიღებული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში **მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან შეტყობინების თაობაზე**.
- **შეხვედრები გაიმართა აუდიტორების/შეღწევადობის (პენეტრაციის) განმახორციელებელ პირებთან**. შეხვედრაზე განხილული იქნა ანგარიშების სწორად მომზადების ინსტრუქცია და სავალდებულო პუნქტების წარმოდგენის საკითხები.
- **2-5 დეკემბერს კიბერუსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს ეგიდით ჩატარებულ **ნატოს ყოველწლიურ კიბერსწავლებაში „Cyber Coalition 2024“**.
- ოქტომბრის თვე კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების თვედ არის მიჩნეული, შესაბამისად, **საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში, ჯამში 30 სკოლასა და 14 უნივერსიტეტში, წარმატებით ჩატარდა კიბერჰიგიენის ტრენინგები**. ტრენინგის მონაწილეებს შეხვედრის ბოლოს სახალისო შეჯიბრი ჩაუტარდათ და გამარჯვებულებს წამახალისებელი პრიზები გადაეცათ.

ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები:

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი კიბერ უსაფრთხოების დეპარტამენტთან ერთად სახელმწიფო ელექტრო სისტემაში ატარებს ერთობლივ ტრენინგს: კიბერჰიგიენის ტრენინგი, რომელიც მოიცავს: ISO27001 სტანდარტისა და „ინფორმაციული უსაფრთხოების“ შესახებ საქართველოს კანონის ზოგადი მიმოხილვა, კიბერჰიგიენა. საანგარიშო პერიოდისთვის ჩატარდა 2 ტრენინგი. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 50-მდე პირმა.

- **15 -19 აპრილს ჩატარდა ტრენინგი და სერტიფიცირება - "ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები: შესავალი, დანერგვა, აუდიტი"**. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 12 მონაწილემ, რომელთაგან 7-მა, ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემდგომ, მოიპოვა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სერტიფიკატი.

- **28 -31 მაისს ჩატარდა ტრენინგი "ინფორმაციული უსაფრთხოების შიდა აუდიტორი"**. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების 11-მა თანამშრომელმა.

- **27 მაისს ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სასერტიფიკატო განმეორებითი გამოცდა**. განმეორებითი გამოცდის შედეგად ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სერტიფიკატი მოიპოვა ერთმა მონაწილემ.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 75 მონაწილე.

- **25 -28 ივნისს ჩატარდა ტრენინგი "ინფორმაციული უსაფრთხოების შიდა აუდიტორი"**. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების 8 თანამშრომელმა.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 100 მონაწილე.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 75 მონაწილე.

- **26 აგვისტოს ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სასერტიფიკატო განმეორებითი გამოცდა**, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8–12 ივლისს ჩატარებული ტრენინგის - "ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები: შესავალი, დანერგვა, აუდიტი" - ერთმა მონაწილემ.

- **8–12 ივლისს ჩატარდა ტრენინგი "ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები: შესავალი, დანერგვა, აუდიტი"**. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისა და იმ ორგანიზაციების თანამშრომლებმა, რომელთაც სურთ იყვნენ თანხვედრაში საქართველოს კანონთან "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ". ტრენინგზე მონაწილეობდა 8 ადამიანი, რომელთაგან 6-მა წარმატებით ჩააბარა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სასერტიფიკატო გამოცდა და მიიღო ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სერტიფიკატი.

- **სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ 21-25 ოქტომბერს განახორციელა 5 დღიანი ტრენინგი "ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები: შესავალი, დანერგვა, აუდიტი"**, ტრენინგს დაესწრო პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის 3 თანამშრომელი, რომელთაგან 1 მონაწილემ, ინფორმაციული უსაფრთხოების სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდგომ, მიიღო ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სერტიფიკატი.

- **27 ნოემბერს ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სასერტიფიკატო განმეორებითი გამოცდა**, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა მონაწილემ და სერტიფიკატი გადაეცა ორივე მონაწილეს.

10. ღონისძიებები

- **საქართველოს მთავრობის ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე OECD/SIGMA-ს მიერ შემუშავებული ევროკავშირის საჯარო მმართველობის განახლებული პრინციპები სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის 80-მდე წარმომადგენელმა განიხილა**. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მაღალი დონის პანელური დისკუსია საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის ძირითადი მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. კონფერენციის ფარგლებში **სსიპ ციფრული მმართველობის წარმომადგენლებმა იმსჯელეს** განახლებული პრინციპების მნიშვნელობაზე რეფორმის უკეთ წარმართვის პროცესში.

- **ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცესის მომწესრიგებელი დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდა** - სამუშაო შეხვედრა ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის კომიტეტმა (CAI) გამართა, რომელმაც სფეროს მომწესრიგებელი პირველი საერთაშორისო შეთანხმების ტექსტზე მუშაობა წარმატებით დაასრულა.

- **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ციფრული მმართველობის სააგენტოს სტუმრობდნენ**. სტუდენტები ქვეყანაში ციფრული მმართველობის დანერგვის პროცესში სააგენტოს როლსა და ფუნქციებს გაეცნენ. სტუმრებს მიეწოდათ პრაქტიკული მაგალითები კიბერსაფრთხეების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს მათი იდენტიფიცირებისა და გამკლავების მეთოდები.

- **ასტანას საჯარო სამსახურის ჰაბის (ACSH) ფარგლებში, ქალაქ ალმათში, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია -„ციფრული მმართველობისა და ციფრული ტრანსფორმაციის პრიორიტეტების განსაზღვრა“**. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელმა კონფერენციაზე კოლეგებს გაუზიარა ინფორმაცია საქართველოს ციფრული მმართველობის სფეროს მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელი, ქ.ბერლინში, ჰერთის სკოლაში (Hertie School)

- **გაიმართა კიბერინციდენტების იდენტიფიცირებისა და რეაგირების შესახებ შესაძლებლობების განვითარების ფორუმი**, სადაც ციფრული მმართველობის სააგენტოს კიბერუსაფრთხოების დეპარტამენტმა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის მესამე კატეგორიის სუბიექტებთან ინციდენტების მართვისა და ინფორმაციის მიმოცვლის საკითხები განიხილა.

- **ქალაქ ბრიუსელში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამუშაო შეხვედრაზე კარგი საჯარო მმართველობის ახალ პრინციპებზე იმსჯელეს** - სააგენტოს წარმომადგენლებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში კარგი მმართველობის ინიციატივის დანერგვის პროცესში მიღწეული წარმატებული შედეგები გააცნეს.შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს ეფექტიანი და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის ძირითადი ასპექტები, სადაც საჯარო სერვისების მიწოდების მიმართულებით მომხმარებელზე მორგებულ ციფრულ ტექნოლოგიებსა და სამართლებრივ საფუძვლებს გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

- **სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბრიუსელში გამართულ ღონისძიებაში - "ციფრული ტრანსფორმაცია და ურთიერთთავსებადობა დასავლეთ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში" (Digital Transformation and Interoperability in the Western Balkans and EaP region)**. სამუშაო შეხვედრაზე მომხსენებელთა მიერ წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის და მისი განვითარების მიმართულების შესახებ, დისკუსია გაიმართა ევროკავშირის ურთერთავსებადობის აქტსა და სხვა რეგულაციებზე, რაც ხელს უწყობს საჯარო მმართველობის პროცესისა და ზოგადად, სახელმწიფოთა ციფრულ ტრანსფორმაციას. ღონისძიებაზე ასევე განიხილეს "მხოლოდ ერთხელ" პრინციპის დანერგვის საკითხები, ტრანსსასაზღვრო ურთიერთთავსებადობა, რეგულაცია eIDAS 2.0 და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე - ელ. საფულე (eWallet), ელ. სანდო მომსახურებების ურთიერთაღიარება ევროკავშირსა და არაწევრ სახელმწიფოებს შორის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

- სააგენტოს წარმომადგენელი **საჯარო სექტორში სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, პოლიტიკის იმპლემენტაციის შეფასების პროცესში მონაცემთა მართვის შესახებ** ტრენინგს დაესწრო**.**

- **თანამედროვე ტექნოლოგიებში ქალების როლსა და მნიშვნელობაზე** იმსჯელეს სამუშაო შეხვედრაზე ქ. კიშინიოვში, მოლდოვაში, სადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელმაც მიიღო მონაწილეობა.

- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს **ქ. მაასტრიხტში გამართულ ტრენინგში "Elevating for excellence"**.

- სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო **მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში გამართულ სამიტს - ''MOLDOVA DIGITAL SUMMIT 2024''**.

- სააგენტოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმში, **USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაზე**, რომლის მიზანიც იყო ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარება (ჩოხატაური, ქუთაისი, ბათუმი) ინფორმაციული უსაფრთხოების შესაძლებლობებისა და კიბერმედეგობის განმტკიცებაში.

- **გაიმართა სამუშაო შეხვედრა eIDAS 2.0 რეგულაციასთან ჰარმონიზაციაზე** - USAID-ის პროექტის ელექტრონული იდენტობისა და სანდო მომსახურების თემაზე 2-დღიანი სემინარზე მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ევროკავშირში eIDAS 2.0 რეგულაციის შესახებ. მონაწილეებმა ასევე განიხილეს მსგავსი სისტემის საქართველოში დანერგვის პერსპექტივა და გამოწვევები.

- სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა **მიიღეს "საქართველო-დიდი ბრიტანეთის კიბერ თანამშრომლობის პროგრამის"** ფარგლებში 23-24 ივლისს დაგეგმილ ღონისძიებაზე.

- 30-31 ივლისს სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს **GITAC-ის მიერ ორგანიზებულ კიბერკრიზისის ეროვნული სიმულაციის პრაქტიკულ TTX და CTF სავარჯიშოებში**.

- სააგენტოს მანდატის ფარგლებში **შემუშავდა მოსაზრებები „ტრეფიკინგისადმი მოწყვლადი ჯგუფების დანაშაულისგან დაცვის“ ანგარიშის** თაობაზე. დოკუმენტთან ერთად, იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამუშო შეხვედრაზე, განხილული იყო **ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მორიგი მონიტორინგის ვიზიტისთვის** მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვის საკითხები.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს **ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფთან (GRETA**) სამუშაო შეხვედრაში.

- **საქართველოსა და კორეას შორის ციფრული მმართველობის სფეროში თანამშრომლობის ფორუმი გაიმართა**. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ დანერგილ სერვისებს, პოლიტიკურ და საკანონმდებლო ჩარჩოებს, ციფრული მმართველობის სფეროში განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებსა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების სხვადასხვა არხებს, მათ შორის, სახელმწიფო სერვისების ერთიან ელექტრონულ პორტალს - my.gov.ge და მობილურ აპლიკაციას.

- 2024 წლის 25-27 სექტემბერს **„ასტანის სამოქალაქო ჰაბის“ (ACSH) და UNDP-ს მხარდაჭერით**, ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სეულში კორეის შინაგან საქმეთა და უსაფრთხოების სამინისტროს (**MOIS**) მიერ კორეის ციფრული მმართველობის სისტემისადმი მიძღვნილ სასწავლო პროგრამაში. სასწავლო ვიზიტის მონაწილე ქვეყნების დელეგაციები გაეცნენ **კორეის ციფრული ტრანსფორმაციის ისტორიასა და თანამედროვე ციფრული ინფრასტრუქტურის, პერსონალური მონაცემების დაცვის, კიბერუსაფრთხოების, ღია სამთავრობო მონაცემების და ციფრული ID-ის არსებულ პრაქტიკას**.

- **ევროპის საბჭოს (CoE) ორგანიზებით 17-19 სექტემბერს** გაიმართა ევროპის საბჭოს ფარგლებში შექმნილი **ხელოვნური ინტელექტის კომიტეტის (CAI)** რიგით მე-11 პლენარული შეხვედრა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ამავე კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩიეს ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიტიკური სამსახურის უფროსი.

- ინფორმაციული უსაფრთხოების **დეპარტამენტის 2 თანამშრომელი, 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით, მივლინებით იმყოფებოდნენ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში**, GIZ-ისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ, Her CyberTracks ევროპის ფორუმზე დასწრების მიზნით.

- 2024 წლის 10 ოქტომბერს, **სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა** მიიღო კომუნიკაციების კომისიის ციფრული ინკლუზიის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის მესამე სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეხება პროექტს - **სოფლის გაძლიერება ციფრული ინკლუზიით (REDI)**.

- **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული საგრანტო პროექტის – „ელექტრონული მმართველობის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება“ დახურვის ღონისძიება გაიმართა** - ღონისძიებაზე გაიმართა სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია, რომლის მიზანსაც ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობიერების დონის დადგენა და მათი ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული დაბრკოლებების განსაზღვრა წარმოადგენდა. განიხილეს ვებგვერდის სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მომზადებული მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. მოწვეული სტუმრები MY.GOV.GE-ს საკომუნიკაციო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას და პორტალი ცნობადობის შესახებ მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის მიზნებსა და შედეგებსაც გაეცნენ. კამპანია მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს, მათ შორის, სოციალური არხების, მედია საშუალებებისა და საინფორმაციო ბანერების მეშვეობით. პროექტის ფარგლებში სოციოლოგიური კვლევა კომპანია “ეისითიმ” ჩაატარა, ხოლო MY.GOV.GE-ს საკომუნიკაციო სტრატეგია კომპანია ,,ჯეპრამ” მოამზადა. პროექტი გერმანიის მთავრობის ფინანსური დახმარებით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის მიზანი სახელმწიფო სერვისების ერთიანი პორტალის - MY.GOV.GE-ს ცნობადობის გაზრდა და მომხმარებელთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა იყო.

2024 წლის 19-20 ნოემბერს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის (UN-DESA) და ესტონეთის მთავრობის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება **თემაზე: „ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა: დიჯიტალიზაციის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და დასავლეთ აზიაში“**, შეხვედრის ფარგლებში განიხილეს 2024 წლის გაეროსელექტრონული მმართველობის კვლევის ძირითადი მიგნებები, ელექტრონული მმართველობის განვითარების შეფასების მეთოდოლოგია და ინდიკატორები. შეხვედრაში მონაწილეობდა სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ წარმომადგენელი.

GITAC-ს და სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ერთობლივი ღონისძიება გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ ახალი რეგულაციები, რომელშიც მონაწილეობდა სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ წარმომადგენელი.

გაიმართა სამინისტროს სისტემის ანალიტიკური ერთეულების საკოორდინაციო შეხვედრა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ანალიტიკური მიმართულების გაძლიერებისთვის განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეჯამება და სამომავლო გეგმების დასახვა.

2024 წლის 17 ოქტომბერს, შეხვედრა გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ქონებრივ საკითხთა სახელმწიფო სამსახურის დელეგაციის და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებს შორის - შეხვედრის ფარგლებში დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს გამოცდილებას სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების მიწოდებისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

ევროპის საბჭოს (CoE) ორგანიზებით 24--26 ნოემბერს გაიმართა ევროპის საბჭოს ფარგლებში შექმნილი **ხელოვნური ინტელექტის კომიტეტის (CAI)** რიგით მე-12 პლენარული შეხვედრა. ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის კომიტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ამავე კომიტეტის წევრმა, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელმა. კერძოდ, ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიტიკური სამსახურის უფროსმა.

11. სააგენტოს შიდა ორგანიზაციული განვითარება

- მიმდინარეობს სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული ზრდა. ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის:

  - ნატოს ყოველწლიური კიბერსწავლება „Cyber Coalition 2024“;
  - კიბერ აუდიტი და შეფასების მეთოდოლოგია;
  - მავნე კოდის ანალიზი;
  - კიბერ უსაფრთხოების საფუძვლები;
  - კიბერ უსაფრთხოების საერთაშორისო სამართალი, კიბერ უსაფრთხოების ინციდენტები;
  - კიბერ აუდიტი და შესაბამისი ხელსაწყოების განხილვა;
  - ქალები ტექნოლოგიებში;
  - კიბერუსაფრთხოების დონორთა კონფერენცია;
  - CAF-ის მოდელი გაანალიზება;
  - საჯარო პოლიტიკის დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება;
  - პოლიტიკის განხორციელების ანგარიშგების პროცესში ელ. სისტემის გამოყენება;
  - მონაცემთა ანალიზი პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში;
  - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალ კანონთან დაკავშირებული სიახლეები;

- გარდა აღნიშნულისა, წლის განმავლობაში ჩატარდა „პირველადი სამედიცინო დახმარების“ ტრენინგები (30 თანამშრომელი) და „საორიენტაციო პროგრამა მოქმედი თანამშრომლებისთვის“ (12 თანამშრომელი).

- თანამშრომლების მოტივაციისა და გუნდურობის ამაღლების მიზნით, ციფრული მმართველობის სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა, იუსტიციის სამინისტროს სისტემის ფარგლებში გამართულ სპორტულ და ინტელექტუალურ ღონისძიებებში. ტურნირებში სააგენტომ საპრიზო ადგილები მოიპოვა.

12. ადამიანური რესურსების მართვა

- ამჟამად სააგენტოში გათვალისწინებულია ჯამში შტატით 151 პოზიცია და 160 შრომითი ხელშეკრულება (40 ერთეული მიზნობრივი გრანტების ფარგლებში).

252 პოზიცია შევსებულია:

- ნატოს ყოველწლიური კიბერსწავლება „Cyber Coalition 2024“;
- 121 თანამშრომელი შტატით;
- 127 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებით (მოიცავს 6 ტექნიკურ დამხმარეს)
- 4 ანაზღაურებადი სტაჟიორი.

- შტატით გათვალისწინებულ 8 ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულია კონკურსი: ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერის სამსახურში.

- 30 ვაკანტური პოზიცია.

13. საფინანსო საკითხები

დამტკიცებული ბიუჯეტი (გეგმა) - საკუთარი სახსრები 27 536 000; საბიუჯეტო ასიგნებები 4 300 000;

შემოსავალი (გეგმა) - საკუთარი შემოსავლები 23 300 000;

მიღებული შემოსავლები (ფაქტი) – 26 571 077.33;

გასავალი (ხარჯები) - საკუთარი სახსრები 27 090 276.36; საბიუჯეტო ასიგნებები 4 299 220.04;

ნაშთი - საკუთარი სახსრები 3 717 512.22;

14. საზოგადოებასთან ურთიერთობა

- სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 50 საინფორმაციო რელიზი და შეიქმნა სპეციალური გვერდი „კითხვა-პასუხები“, სადაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების ენებზეც: აფხაზურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

- „ფეისბუქ“ გვერდი: გამოქვეყნდა 103 საინფორმაციო პოსტი და სხვა სახის ინფორმაცია.

- ვიდეო კონტენტი: მომზადდა და გამოქვეყნდა 10 ვიდეორგოლი, მათ შორის გრაფიკული ვიდეოები.

- საინფორმაციო სააგენტოები: სააგენტოების მეშვეობით გავრცელდა 60 საინფორმაციო პოსტი და მომზადდა 4 საინფორმაციო სიუჟეტი, რომელიც გავიდა სხვადასხვა არხზე.

- „ფეისბუქის“ შედეგები: სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს „ფეისბუქ“ პოსტების ნახვის რაოდენობა 2 მილიონზე მეტია.

- ვებგვერდის ვიზიტორები: სააგენტოს ვებგვერდზე ვიზიტორთა რაოდენობამ 200,000-მდე ადამიანი შეადგინა.

15. სააგენტოს აპარატურული და ტექნიკური განვითარება

- მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები ქსელური ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით. დასრულდა მუშაობა ობიექტურ მონაცემთა სანახი სისტემის გაფართოებაზე და საგარანტიო მომსახურების შესყიდვაზე. დაინერგა პროექტების მართვის და დავალებების მენეჯმენტის სისტემა - JIRA.
- დაინერგა ინციდენტებისა და მოთხოვნების მართვის სისტემა, რომლის საშუალებით მოხდება ყველა მოთხოვნისა თუ ინციდენტის დაფიქსირება ერთიანი ფანჯრის პრინციპით, რაც შეამცირებს ინციდენტების მოგვარების დროს.
- სერვერულ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა თანამედროვე ჰიპერკონვერგენტული სისტემის და სანახი სისტემის მოცულობის გაზრდა, დასრულდა მონაცემების მიგრაცია ძველი სანახი სისტემიდან ახალ ობიექტურ მონაცემთა სანახ სისტემაზე, დაინერგა ცენტრალიზებული სარეზერვო ასლების სისტემა და უსაფრთხოების ინციდენტების და მოვლენების მართვის სისტემა, რომელშიც თავს იყრის ყველა კრიტიკული მოწყობილობიდან და პროგრამული უზრუნველყოფიდან მონაცემები.

16. ტექნიკური მხარდაჭერა

ოთხი კვარტლის განმავლობაში ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფმა რეაგირება მოახდინა **42 122 ინციდენტზე**.

განხორციელებული ტექნიკური სამუშაოები:

- იუსტიციის სასწავლო ცენტრის 50 ძველი კომპიუტერი განახლდა ssd და ram-ებით. მათზე დადგა განახლებული სისტემები და ჩაერთო საერთო დომეინში;
- ხარაგაულის იუსტიციის სახლში, გადამწვარი აპარატურა ჩანაცვლდა ახლით და სრულად გადაეწყო ქსელის აპარატურა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქსელში ჩაირთო პრობოქსები (8 ცალი);
- იუსტიციის სახლებში განთავსდა თვითმომსახურების კიოსკები;
- ყველა მოძრავ იუსტიციის სახლში დაინსტალირდა სსგს-ს ე.წ. Offline აპლიკაცია, რომელიც იძლევა მოქალაქეების რეგისტრაციის საშუალებას ქსელის გამოყენების გარეშე;
- დამიგრირდა 250-მდე თანამშრომელი (ჩაირთო ქსელი, ტელეფონი და ყველა პერიფერიული მოწყობილობა);
- ახლად გახსნილი იუსტიციის სახლებისთვის მიმდინარეობს კომპიუტერების გამართვა, სისტემების და აპლიკაციების ჩაწერა;
- ტექნიკურად გაიმართა იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგები/საკვალიფიკაციო გამოცდები ბათუმში, ქუთაისში, თელავში და ყვარელში;
- დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში, ბათუმსა და ქუთაისში მოეწყო პაემნების ოთახები;
- დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, იუსტიციის სახლში და შერიგების სამინისტროში გაიმართა ახალი კომპიუტერები (ჯამში დაახლოებით 600 კომპიუტერი);
- განხორციელდა რუსთავის იუსტიციის სახლის მიგრაცია ახალ შენობაში(ქსელი, კომპიუტერები, პერიფერიული მოწყობილობები და ა.შ);
- განხორციელდა რუსთავის იუსტიციის სახლის მიგრაცია მუდმივ სამუშაო ადგილზე(ქსელი, კომპიუტერები, პერიფერიული მოწყობილობები და ა.შ);
- რეგიონებში სსიპ - იუსტიციის სახლის სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებისთვის გაიმართა სამუშაო პროგრამები;
- გაიმართა სამუშაო სივრცე სსიპ იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოში, თბილისის ცენტრალურ ფილიალში იუსტიციის სამინისტროს პროექტის - „ბიზნესასისტენტი" განხორციელების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტომ" IT და ინტერნეტ მომსახურება გაუწია **171 ორგანიზაციას**, ხოლო G3 - ის ფარგლებში - **289 ორგანიზაციას**.

იუსტიციის
სამინისტრო

ციფრული
მმართველობის
სააგენტო